

**გადაუღებელი სამედიცინო დახმარების
სწავლების პროგრამა ექთნებისთვის**

თბილისი 2007

ბაღაუღებელი სამედიცინო ღახმარების სწავლების პროგრამა ექთნებისთვის

გაღაუღებელი ღახმარების განყოფილების მოწყობა, მიზნები და ამოცანები გაღაუღებელი ღახმარების ექთნის სამუშაოს აღწერილობა

- საქეტნო ეთიკა
- პირადი უსაფრთხოება
- ინფექციის კონტროლი (ასეპტიკა და ანტისეპტიკა)
- სიცოცხლის გაღარჩენის ღახვეწილი გაიდლაინი
- triaJi
- ABC (sasunTqi gzebi, sunTqva, sisxlis mimoqceva)
- sasunTqi gzebis gamtareblobis uzrunvelyofis meTodebi da gul-filtvis reanimacia;
- daavadebis anamnezi da garegani daTvaliereba

ტრავმის ღრღს სიცოცხლის გაღარჩენის ღახვეწილი ალგორითმი

- ტრავმის განვითარების მექანიზმი
- travmis pirveladi mkurnaloba
- sayrden-mamoZravebeli sistemis trauma da artaSaniT fiqsaciis meTodebi
- gulmkerdis trauma
- qala-tvinis da kiris trauma
- Wrilobis mkurnaloba da sisxldenis SeCereba
- tkivilis menejmenTi
- damwvrobis simZimis xarixis Sefaseba da movla
- sunTqvis mwvave ukmarisoba
- mravlobiTi travmis mqone dazaralebuli
- muclis Rrusa da Sard-sasqeso sistemis trauma, mwvave muceli
- gadaudebeli mdgomareobebi fsiqiatriaSi;
- samedicino Careva krizisuli mdgomareobebisas
- farmakologia, narkomania da intoqsikacia
- infeqciuri daavadebebi da maTze kontroli
- anafilaqisia
- naxvevis dadebis teqnika
- orogastraluri zondireba
- Sardis buStis kaTeterizacia
- nazogastraluri zondireba
- mwvave muceli
- ugono mdgomareobaSi myofi dazaralebuli;
- sxvadasxva genezis Sokis movla;
- mdgomareobis stabilizacia transportirebisaTvis;
- garemo pirobebiT gamowveuli ubeduri SemTxvevebi ;
- stresis sawinaaRmdego RonisZiebebi;
- kavSirisa da sadispetCero kontroli saSualebebi;

სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი ალგორითმი პედიატრიაში

- bavSvTa asakis gadaudebeli mdgomareobebi
- travma bavSvTa asakSi
- mSobiaroba
- axalSobilTa reanimacia
- gadaudebeli daxmareba sameano saqmeSi

daxvewili kardiologiuri daxmareba

- tkivili gulmkerdis areSi
- bradikardia
- supraventrikuluri da ventrikuluri taqikardia
- gul-sisxlZarRvTa sistemis funqciis mwvave moSla da ekg-s pirveladi interpretacia
- gulis gaCereba –diagnostika, mizezebi, movla
- ekg pirveladi interpretacia, ekg monitoringi,
- mwvave koronaruli sindromi
- gulis travmulu gaCereba
- gulis gaCereba hipoTermiis dros

sxva saxis gadaudebeli daxmareba

- Soki
- krunCxva
- respiratoruli distresi – filtvis SeSupeba
- Tavis tvinSi sisxlis mimoqcevis moSla
- tkivilis kontroli
- sameano gadaudebeli daxmareba eklamfsia, preeklamfsia
- gulisreva da Rebineba
- interhospitaluri da intrahospitaluri transportireba
- agznebuli pacienti

გადაუდებელი დახმარების განყოფილების მოწყობა, მიზნები და ამოცანები

ადნიშნული მოდულის სწავლების მიზანშეწონილობა:

ექთანს უნდა შეეძლოს საექთნო საქმის დაგეგმვა და რეალიზაცია, უნდა აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა არა მარტო პაციენტი წინაშე, არამედ საზოგადოების, სამედიცინო პროფესიის სპეციალისტებისა და საკუთარი თავის წინაშე. პატივი უნდა სცეს პაციენტის და კოლეგების უფლებებს და კანონის ფარგლებში დაიცვას კონფიდენციალობა პაციენტის მიმართ.

გაცნობიერებული უნდა ქონდეს საკუთარი უფლება მოვალეობები, ფლობდეს ურთიერთობის კულტურას და საკომუნიკაციო უნარ ჩვევებს.

უნდა ფლობდეს სამედიცინო საქმიანობაში არსებული ზნეობისა და მორალის ნორმებს და იცნობდეს საპრობლემო საკითხებს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანი ვალდებულია კარგად იცნობდეს განყოფილების დანიშნულებას, მის ადგილს პაციენტთა სამედიცინო მართვის უწყვეტ ჯაჭვში, იცნობდეს განსხვავებებს პრეჰოსპიტალური და ჰოსპიტალური დახმარების სპეციფიკაში, შეძლოს მონაწილეობის მიღება განყოფილებაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, გააზრებული ჰქონდეს განყოფილების ფუნქციონირების თავისებურებები.

მოდულის სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს ცოდნა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში პაციენტთა სამედიცინო მართვის თავისებურებების შესახებ;
- გაერკვეს გადაუდებელი დახმარების განყოფილების მოწყობისა და მართვის ძირითად პრინციპებში;
- შეძლოს იმუშაოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში თავისი ადგილისა და ფუნქციის გააზრებით განყოფილების სტრუქტურაში და სამედიცინო პერსონალის სხვა წევრებთან მიმართებაში;

მოდულის ამოცანებია, მსმენელი გაერკვეს:

- გადაუდებელი დახმარების განყოფილების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებში;
- პაციენტთა ნაკადის მართვის თავისებურებებში;
- დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას პაციენტთა ნაკადის მართვის თავისებურებებში;
- ქიმიური და რადიაციული დაბინძურების შემთხვევაში პერსონალის მოქმედებების თანმიმდევრობაში;
- ბიოლოგიური იარაღის გამოყენების ეჭვის შემთხვევაში პერსონალის მოქმედებების თანმიმდევრობაში;
- განსაკუთრებულად საშიშ ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში პერსონალის მოქმედებების თანმიმდევრობაში;
- განყოფილებაში მკურნალობის ზოგად სპეციფიკაში;
- განყოფილების ტექნიკური აღჭურვის მინიმალურ სტანდარტში;
- მედიკამენტოზური უზრუნველყოფის თავისებურებებში.
- განყოფილების თითოეული დანაყოფის დანიშნულებასა და ფუნქციონირების თავისებურებებში;
- განყოფილების გეგმარების თავისებურებებში;
- განყოფილების სტრატეგიულ და მიმდინარე ამოცანებში;

საბაზისო ცოდნის მოცულობა:

- გადაუდებელი დახმარების განყოფილების ადგილი პაციენტთა სამედიცინო მართვის უწყვეტ ჯაჭვში;
- კავშირის თავისებურებები როგორც პრეჰოსპიტალურ, ასევე პოსპიტალურ ეტაპთან;
- პაციენტთა ტრიაჟი როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში;
- დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას განყოფილების და სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრის მოქმედების სპეციფიკა და სხვა წევრებთან სინქრონიზაცია-გუნდურობის პრინციპით;
- ქიმიური იარაღით დაბინძურებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების და სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრის მოქმედების თავისებურება;

- რადიაციულ დაბინძურებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების და სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრის მოქმედების თავისებურება;
- ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების და სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრის მოქმედების თავისებურება;
- განსაკუთრებით საშიშ ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების და სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრის მოქმედების თავისებურება;
- კავშირის და ურთიერთქმედების სისტემა და თავისებურებები ჰოსპიტლის განყოფილებებთან, დიაგნოსტიკურ და ამბულატორიულ სამსახურებთან;
- გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში პაციენტთა მიღების კრიტერიუმები;
- ინფორმაციის ნაკადის მართვა;
- გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში პაციენტთა სამედიცინო უზრუნველყოფის განსხვავება ჰოსპიტალურ და სტაციონარამდელ პრეჰოსპიტალურ ეტაპებთან;
- განყოფილების თითოეული რგოლში სამედიცინო უზრუნველყოფის თავისებურებები (ობსერვაციის პალატები, სარეანიმაციო დარბაზი, სანგამტარი და სხვა);
- მთლიანად განყოფილებისა და განყოფილების თითოეული რგოლის ტექნიკური აღჭურვილობის მინიმალური სტანდარტი და ტექნიკური უზრუნველყოფის თავისებურებები;
- აღჭურვილობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი მახასიათებლები;
- მედიკამენტოზური და ერთჯერადი მოხმარების საგნებით განყოფილების უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტი განყოფილების სიმძლავრეზე გათვლით;

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- აწარმოოს პაციენტთა ტრიაჟი როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში;
- დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას იმოქმედოს ადეკვატურად, საკუთარი ადგილისა და ფუნქციის გაცნობიერებით, სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრთან შეთანხმებულად;
- ქიმიური იარაღით, რადიაციულ თუ ბიოლოგიური იარაღით დაბინძურებაზე ეჭვის შემთხვევაში იმოქმედოს ადეკვატურად, საკუთარი ადგილისა და ფუნქციის გაცნობიერებით, სამედიცინო პერსონალის თითოეული წევრთან შეთანხმებულად;

- გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში პაციენტთა მიღებისა და გადაყვანის ორგანიზება პრეჰოსპიტალური და პოსპიტალური ეტაპებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- განყოფილების თითოეული რგოლში ადექვატური მუშაობა სამედიცინო უზრუნველყოფის თავისებურებების გათვალისწინებით (ობსერვაციის პალატები, სარეანიმაციო დარბაზი, სანგამტარი და სხვა);
- ტექნიკური აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დროულად დააფიქსიროს პრობლემა და მიიღოს ადექვატური ზომები;

მოქმედების გეგმები, განყოფილების, მისი თითოეული რგოლის და პერსონალის მუშაობის დებულებები:

- გადაუდებელი დახმარების განყოფილების მუშაობის დებულება;
- გადაუდებელი დახმარების განყოფილების პერსონალის მუშაობის დებულებები;
- ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის დებულებები;
- სადისპეტჩეროს მუშაობის დებულება და სადისპეტჩერო პროტოკოლები;
- პაციენტთა ტრიაჟი შემთხვევის ადგილზე;
- პაციენტთა ტრიაჟი გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში;
- დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას განყოფილების მოქმედების გეგმა;
- ქიმიური იარაღით დაბინძურებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების მოქმედების გეგმა;
- რადიაციულ დაბინძურებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების მოქმედების გეგმა;
- ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე ეჭვის შემთხვევაში განყოფილების მოქმედების გეგმა;
- განსაკუთრებით საშიშ ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში მოქმედების გეგმა;
- განყოფილების ურთიერთქმედების გეგმები შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი დახმარების ბრიგადებთან;
- განყოფილების ურთიერთქმედების გეგმები პოსპიტალის სხვადასხვა განყოფილებებთან (დიაგნოსტიკური, ამბულატორია, ინტენსიური თერაპია და სხვა);
- პაციენტთა ნაკადის მართვის გეგმები;
- გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში პაციენტთა მიღებისა და გადაყვანის გეგმები და კრიტერიუმები;

- განყოფილებისა ტექნიკური აღჭურვილობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მოქმედების გეგმები;

კომპენტენციის გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს მსმენელს:

- გააცნობიეროს გადაუდებელი დახმარების განყოფილების როლი “სიცოცხლის გადარჩენის უწყვეტ ჯაჭვში”, ეცოდინება რა განყოფილების როლი ჰოსპიტალამდელი ეტაპიდან ჰოსპიტალამდე პაციენტთა სამედიცინო მართვაში;
- გაერკვეს გადაუდებელი დახმარების განყოფილების მთლიანად და მისი თითოეული რგოლის მუშაობის სპეციფიკაში, განიხილავს რა განყოფილების, მისი თითოეული რგოლის, პერსონალის მოქმედების დებულებებს;
- შეიძინოს ცოდნა პაციენტთა ნაკადის მართვის ძირითად პრინციპებში როგორც ორდინარული, ასევე საგანგებო სიტუაციების დროს, შეისწავლის და განიხილავს რა ტრიაჟის პრინციპებს, განყოფილების რეაგირების გეგმებს და ურთიერთქმედების სპეციფიკას ჰოსპიტალამდელ და ჰოსპიტალურ ეტაპებთან;
- შეძლოს საჭიროებისას მონაწილეობა მიიღოს განყოფილების სტრატეგიულ და ოპერატიულ მართვაში, ეცოდინება რა განყოფილების მინიმალური სტანდარტული რესურსი, ჰოსპიტალამდელ და ჰოსპიტალური ეტაპებთან კავშირისა და ურთიერთქმედების ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ სისტემებს შორის ძირითადი განსხვავებები.
- ღირსეული ადგილი დაიჭიროს განყოფილების ინფრასტრუქტურაში და ადეკვატურად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, ვინაიდან გაცნობიერებული ექნება გადაუდებელი დახმარების ექთნის როლი ჯანდაცვის სისტემაში, თავისი ადგილი და ფუნქცია განყოფილების ინფრასტრუქტურაში, ცხადად და გარკვევით ეცოდინება თავისი როლი პაციენტთა სამედიცინო უზრუნველყოფის ტექნოლოგიურ ჯაჭვში როგორც ორდინარულ, ასევე საგანგებო სიტუაციებისას.

გადაუდებელი დახმარების ექთანი –სამუშაოს აღწერილობა:

მოდულის სწავლების მიზანშეწონილობა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანი გარკვეული უნდა იყოს თავის ფუნქციებში, უფლებებსა და მოვალეობებში. შეეძლოს განსაზღვროს თავისი კომპეტენციის ფარგლები როგორც კლინიკურ, ასევე საორგანიზაციო საკითხებში. დაზუსტებით უნდა იცოდეს იმ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მოცულობა, რომელიც დასჭირდება განყოფილებაში მუშაობისას. გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობის მოცულობა.

მოდულის სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს პროფესიული ცოდნა;
- გაარკვიოს თავისი კომპეტენციის ფარგლები;
- გაარკვიოს თავისი პასუხისმგებლობები;
- იცოდეს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მოცულობა, რაც დასჭირდება თავისი მოვალეობის შესრულებისას;
- იცოდეს თავისი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მოვალეობები;

მოდულის ამოცანები:

მოდულის სწავლების პროგრამის დასრულების შემდეგ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანი:

- Tavidan aicilebs, arakvalificirebuli samedicino muSaobis uaryofiT Sedegebs,
- gaiTvaliswinebs sxvaTa interesebis,
- marTavs sakuTar emociebs,
- SeZlebs daeuflos saubris warmarTvis xelovnebas,
- SeZlebs daicvas urTierTobaSi zomiereba da taqti,
- SeZlebs praqtikulad gamoiyenos Jestisa da mimikis kultura,
- SeZlebs wina planze daayenos da daicvas pacientis interesebi.
- SeZlebs daimsaxuros pacientis ndoba da keTili ganwyoba.
- efeqturi komunikaciis safuZvelze moipovebs informacias (anamnezi) pacientis Sesaxeb da iyenebs mas mkurnalobis efeqturi dagegmvisaTvis
- gaecnoba pacientTan urTierTobis samarTlebriv aspeqtებს da zneobis kavSirebs samarTalTan, politikასTan da religiasTan

- SeiZens codnas Tavisi uflebebisa da movaleobebis Sesaxeb;
- გაერკვევა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაუდებელი დახმარების განყოფილების ფუნქციონირებისას;
- ეცოდინება საბაზისო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მოცულობა, რაც დასჭირდება თავისი მოვალეობის შესრულებისას;
- ეცოდინება თავისი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მოვალეობების შესახებ;
- ეცოდინება პაციენტთა ნაკადის მართვაში თავისი როლი;
- გაითვითცნობიერებს დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას;
- ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური იარაღით დაბინძურების შემთხვევაში გუნდური მოქმედებებისას თავის ადგილს;
- განყოფილების ტექნიკური აღჭურვილობის მოხმარებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს;
- განყოფილების თითოეული დანაყოფის ფუნქციონირებისას განსაზღვრავს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს;
- განსაზღვრავს საკუთარ როლს განყოფილების სტრატეგიულ და მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტაში;

ბაზისური ცოდნა და უნარ-ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა უნდა იცოდეს საკუთარი ადგილი და კომპეტენცია:

- გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში;
- გადაუდებელი დახმარების განყოფილების თითოეული რგოლის ფუნქციონირებისას;
- პაციენტთა ნაკადის მართვაში;
- დიდი რაოდენობით დაზარალებულთა ერთდროულად შემოსვლისას;
- ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური იარაღით დაბინძურების შემთხვევაში;
- განყოფილების ტექნიკური აღჭურვილობის მოხმარებისას;
- განყოფილების სტრატეგიულ და მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტაში;

კომპეტენციის გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში ექთნის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მკაცრად განსაზღვრას**, გაეცნობა რა მსმენელი თავის უფლება-მოვალეობებს და მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს;

- **საგანგებო სიტუაციებისას ექთნის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მკაცრად განსაზღვრას**, განიხილავს რა მსმენელი საგანგებო სიტუაციის სხვადასხვა ვარიანტისას საკუთარი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ჩარჩოებს.

სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი გაიდლაინი

მოდულის სწავლების მიზანშეწონილობა:

გადაუდებელი დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს ამოიცნოს კრიტიკული/გადაუდებელი მდგომარეობები, შეაფასოს სიმძიმე, ადეკვატური და სწრაფი ზომები მიიღოს მათ აღმოსაფხვრელად, პაციენტის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციისთვის.

გადაუდებელი დახმარების ექთანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს კრიტიკული/გადაუდებელ მდგომარეობაში პაციენტის პირველი სტაბილიზაციისათვის საჭირო ყველა მანიპულაციას, გააჩნდეს სათანადო თეორიული ცოდნა.

მოდულის სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს კრიტიკული/გადაუდებელი მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა პირველადი სტაბილიზაციისათვის აუცილებელი ბაზისური ცოდნა შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში;
- განავითაროს ანალიზური, შეფასების ჩვენები და უნარები სიცოცხლისათვის საშიში პათოლოგიების დროული ამოცნობისა და მართვისათვის. პაციენტთან ან მის ახლობლებთან კომუნიკაციის ჩვენები.
- მიიღოს დიდი რაოდენობით დაზარალებულთა შემთხვევაში სიტუაციის ადეკვატური მართვისათვის აუცილებელი ცოდნა;
- შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვენების გამოყენება გადაუდებელ შემთხვევებში პაციენტების მკურნალობისათვის. ეფექტური კომუნიკაცია პაციენტთან და მის ნათესავებთან.

პროგრამის ამოცანები:

წარმოდგენილი მოდულის სწავლების დასრულების შემდეგ გადაუდებელი დახმარების ექთანი:

- შეიძენს შესაბამისი ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს დროულად ამოიცნოს პაციენტებთან განვითარებული სიცოცხლისათვის საშიში პათოლოგიები და მოახდინოს მდგომარეობის პირველადი სტაბილიზაცია.

- განვიითარებს კრიტიკული/გადაუდებელი მდგომარეობით პაციენტის გასინჯვის, სასიცოცხლო ფუნქციების სწრაფი შეფასების, რეანიმაციული ღონისძიებების სწორად ჩატარების და ამისათვის საჭირო ყველა მანიპულაციის უნარ-ჩვევებს.

ბაზისური ცოდნა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა უნდა იცოდეს:

- triaJi
- ABC (sasunTqi gzebis gamavlobis, sunTqvis, sixlis mimoqcevis uzrunvelyofa)
- sasunTqi gzebis gamtareblobis uzrunvelyofis meTodebi da gul-filtvis reanimacia;
- daavadebis anamnezis Sekreba da garegani daTvaliereba

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- ანამნეზის შეკრება, პაციენტის პირველადი გასინჯვა, სათანადო ინფორმაციის წარდგენა ექიმისთვის და პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია;
- ტრიაჟი როგორც ჰოსპიტალამდელ ეტაპზე, ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში.
- სასუნთქი გზების გამავლობის, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის უზრუნველყოფა.
- პერიფერიული ვენების კანულაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ნაზო ან ორო-გასტრული ზონდის ჩადგმა, სისხლდენის შეჩერება.
- ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის არაინვაზიური მეთოდების (პირი-პირში, პირი-ცხვირში, “ამბუ” –რესპირატორი) და საპაერო გზების გამავლობის უზრუნველყოფა, პირდაპირი ლარინგოსკოპია, ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია, ოქსიგენოთერაპიის სხვადასხვა მოწყობილობების ადეკვატური გამოყენება (ინჰალაცია, ცხვირის კანულები, ნილაბი, სარქვლიანი ნილაბი, მაღალ პროცენტიანი ჟანგბადის მიმწოდებელი ნილაბი და ა.შ.)
- გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულება (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით), დეფიბრილატორის, გამოყენება.

- მოტეხილი კიდურების იმობილიზაცია, კისრის ფიქსატორის გამოყენება, სისხლდენის საწინააღმდეგო ლახტების დადება, დამწვრობის საწინააღმდეგო საფენების გამოყენება, პაციენტის ინტერ - და ინტრა - ჰოსპიტალური უსაფრთხო ტრანსპორტირება, ასეპტიკა-ანტისეპტიკის პრინციპების დაცვა.
- სამედიცინო აპარატურის სწორი გამოყენება, მოვლა, ტესტირება, პაციენტის, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა ტექნიკური და ბიო-უსაფრთხოების დაცვა.

გამოკვლევების, მკურნალობის და ინტერვენციების გეგმა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ექიმთან შეთანხმებით შეიმუშავოს და პაციენტს ან მის ნათესავებს გააცნოს:

- აუცილებელი თუ სასურველი ინვაზიური ჩარევების ან სხვა სახის ინტერვენციების გეგმა, მათი აუცილებლობა და შესაძლო გართულებები – გვედრითი მოვლენები.
- მკურნალობის გეგმა (უახლოესი და შემდგომი), სხვა კლინიკაში/განყოფილებაში შესაძლო გადაყვანის გეგმა, დაავადების მიმდინარეობისა და შესაძლო კლინიკური გამოსავლის პროგნოზი (საერთაშორისო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით).

კომპეტენციის გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **პრეჰოსპიტალურ ეტაპზე კრიტიკულ/გადაუდებელ მდგომარეობაში პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების პირველადი სტაბილიზაციისათვის ჩვევების განვითარებას.** გაეცნობა რა პაციენტთა კრიტიკულ დაავადებების მიზეზებსა და მკურნალობის შესაძლო გზებს, ექთანი ექიმთან ერთად შეძლებს ამ პრობლემების ეფექტიან მართვას;

- **პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური ჩვევების გამოყენებას.** შეისწავლის რა სასიცოცხლო ფუნქციების პირველადი სტაბილიზაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს
- **დიდი რაოდენობით დაზარალებულთა შემთხვევაში სიტუაციის ადეკვატურ მართვას** შეისწავლის რა ტრიაჟის მეთოდებს როგორც ჰოსპიტალამდელ ეტაპზე, ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში.

ტრავმის დროს სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი ალგორითმი

მოდულის სწავლების მიზანშეწონილობა:

გადაუდებელი დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს ამოიცნოს მწვავე ტრავმით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობები, შეაფასოს სიმძიმე და ადეკვატური და სწრაფი ზომები მიიღოს მათ აღმოსაფხვრელად, პაციენტის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციისთვის.

გადაუდებელი დახმარების ექთანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს მწვავე ტრავმით პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის საჭირო ყველა მანიპულაციას. გააჩნდეს სათანადო თეორიული ცოდნა. უნდა შეეძლოს მონაწილეობის მიღება უწყვეტ სამედიცინო განათლებაში და შეეძლოს საკუთარი ცოდნის გადაცემა კოლეგებისა თუ სხვა დაინტერესებული პირისათვის

მოდულის სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს მწვავე ტრავმით პაციენტთა სამედიცინო მართვისათვის აუცილებელი ბაზისური ცოდნა შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში;
- განავითაროს ანალიზური, შეფასების და ექსპრეს – სადიაგნოსტიკო ჩვევები და უნარები სიცოცხლისათვის საშიში პათოლოგიების დროული ამოცნობისა და მართვისათვის ეს ასევე ითვალისწინებს პაციენტთან ან მის მშობლებთან კომუნიკაციის ჩვევების გაუმჯობესებას გასინჯვის, მონაცემთა რეგისტრაციის და ინფორმაციის გამოყენების პროცესებში;
- შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება პაციენტების მკურნალობისათვის, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში. ეფექტური კომუნიკაცია პაციენტთან და მის ახლობლებთან;

პროგრამის ამოცანები:

წარმოდგენილი მოდულის სწავლების დასრულების შემდეგ გადაუდებელი დახმარების ექთანი:

- შეიძენს შესაბამისი ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს დროულად ამოიცნოს და ასისტირება გაუწიოს ექიმს მწვავე ტრავმით პაციენტებთან განვითარებულ სიცოცხლისათვის საშიშ ნოზოლოგიების, სინდრომების და კლინიკური მდგომარეობების მკურნალობაში.

- განვიითარებს მწვავე ტრავმით პაციენტის გასინჯვის, სასიცოცხლო ფუნქციების სწრაფი შეფასების, რეანიმაციული ღონისძიებების სწორად ჩატარების და ამისათვის საჭირო ყველა მანიპულაციის უნარ-ჩვევებს.

ბაზისური ცოდნა:

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა პროფესიული კომპენტენციის საზღვრებში უნდა იცოდეს:
 - ტრავმის განვიითარების მექანიზმის საფუძვლები;
 - travmis pirveladi mkurnalobis safuZvlebi;
 - sayrden-mamoZravebeli sistemis trauma da artaSaniT fiqsaciis meTodebi ;
 - gulmkerdis trauma;
 - qala-tvinis da kisis trauma;
 - Wriobis movla da sisxldenis SeCereba;
 - damwvrobis simZimis xarisxis Sefaseba da movla;
 - sunTqvis mwvave ukmarisobis ganviTarebis meqanizmi;
 - mrvlobiT travmis mqone dazaralebulis movla;
 - muclis Rrusa da Sard-sasqeso sistemis trauma, mwvave muceli;
 - gadaudebeli mdgomareobebi fsiqiatrisSi;
 - samedicino Careva krizisuli mdgomareobebis;
 - medikamentebis Seyvanis meTodebi da dozirebebi;
 - infeqciuri daavadebebi da maTze kontroli;
 - anafilaxia;
 - mwvave muceli;
 - ugono mdgomareobaSi myofi dazaralebulis movla;
 - sxvadasxva genezis Sokis pirveladi daxmareba;
 - mdgomareobis stabilizacia transportirebisaTvis kompetenciis farglebSi;
 - garemo pirobetiT gamowveuli ubeduri SemTxvevebi;
 - eqTnis adgili katastrofebis samedicino uzrunvelyofaSi;
 - stesis sawinaaRmdego RonisZiebebi;
 - kavSirisa da sadispetCero kontrolis saSualebebi.
- ზემოთ ჩამოთვლილი სინდრომების დიაგნოსტიკის (მათ შორის ექსპრეს-) საფუძვლები.

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- ანამნეზის შეკრება, პაციენტის საბაზისო გასინჯვა, სათანადო ინფორმაციის მიწოდება ექიმისთვის და პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია;
- სისხლის წნევის არაინვაზიური გაზომვა, ელექტროკარდიოგრამის გადაღება, პაციენტის მომზადება გულმკერდის და მუცლის ღრუს ექოსკოპიისთვის ასევე რენტგენოგრამის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტური რეზონანსის გამოსახულების და სხვა რადიოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდებისთვის.
- ლაბორატორიული კვლევისთვის (მათ შორის ბაქტერიოლოგიური) სხვადასხვა მასალის სწორი აღება.
- პერიფერიული ვენის კანულაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ნაზო ან ორო-გასტრული ზონდის ჩადგმა, მარტივი ზედაპირული ჭრილობის გაკერვა, სისხლდენის შეჩერება.
- ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის არაინვაზიური მეთოდების (პირი-პირში, პირი-ცხვირში, “ამბუ” –რესპირატორი) და საჰაერო გზების გამავლობის უზრუნველყოფა, პირდაპირი ლარინგოსკოპია, ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია, ოქსიგენოთერაპიის სხვადასხვა მოწყობილობების ადექვატური გამოყენება (ინჰალაცია, ცხვირის კანულები, ნილაბი, სარქვლიანი ნილაბი, მაღალ პროცენტიანი ჟანგბადის მიმწოდებელი ნილაბი და ა.შ.)
- გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულება (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით), დეფიბრილატორის, სინქრონული კარდიოვერსიის, გარეგანი პეისმეკერის (რითმის წამყვანი) გამოყენება (უსაფრთხო და სწორი),
- მოტეხილი კიდურების იმობილიზაცია, კისრის ფიქსატორის გამოყენება, სისხლდენის საწინააღმდეგო ლასტების დადება, დამწვრობის საწინააღმდეგო საფენების გამოყენება, პაციენტის ინტერ - და ინტრა - ჰოსპიტალური უსაფრთხო ტრანსპორტირება, ასეპტიკა-ანტისეპტიკის პრინციპების დაცვა.
- სამედიცინო აპარატურის სწორი გამოყენება, მოვლა, ტესტირება, პაციენტის, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა ტექნიკური და ბიო-უსაფრთხოების დაცვა.

გამოკვლევების, მკურნალობის და ინტერვენციების გეგმა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ექიმთან შეთანხმებით პაციენტს ან მის ახლობლებს გააცნოს:

- აუცილებელი სადიაგნოსტიკო კვლევის ჩამონათვალი (სასწრაფო და მოგვიანებით).
- აუცილებელი თუ სასურველი ინვაზიური ჩარევების ან სხვა სახის ინტერვენციების გეგმა, მათი აუცილებლობა და შესაძლო გართულებები – გვედრითი მოვლენები.

კომპეტენციის გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **მწვავე ტრავმით პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის თეორიული ბაზისის შექმნას.** გააცნობიერებს რა მწვავე ტრავმით პაციენტთა კრიტიკულ დაავადებების მიზეზებსა და მკურნალობის შესაძლო გზებს, ექთანი შეძლებს ამ პრობლემების ექიმის ეფექტიან ასისტირებას;
- **მწვავე ტრავმით პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჩვევების განვითარებას.** შეისწავლის რა მწვავე ტრავმით პაციენტთა ადეკვატური დახმარებისათვის საჭირო მანიპულაციებს და შეიძენს სათანადო უნარ-ჩვევებს, მსმენელი შეძლებს ადეკვატური დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს.
- **პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური ჩვევების გამოყენებას.** განიხილავს რა არსებულ პრობლემებს „სიცოცხლის გადარჩენის ერთიანი ჯაჭვის“ კონტექსტში, პრეჰოსპიტალური დახმარებიდან ჰოსპიტალურის ჩათვლით და იყენებს ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის სპეციფიკურ მეთოდებს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს შეუძლია სწორად შეაფასოს პრობლემა და ჩამოაყალიბოს სათანადო სამოქმედო გეგმა.
- **მწვავე ტრავმით პაციენტთა სამედიცინო მართვასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების გაცნობიერებას,** რაც გულისხმობს პრობლემის სერიოზულობისა და სპეციფიკური ლოკალური ფაქტორების მნიშვნელობის სწორად შეფასებას.

ბავშვთა ასაკის გადაუდებელი მდგომარეობები:

პროგრამის მიზნები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს ამოიცნოს ახალშობილთა და ბავშვთა ასაკის გადაუდებელი მდგომარეობები (გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რითმის სიცოცხლისთვის საშიში დარღვევები, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, მძიმე ინტოქსიკაცია, ასთმური შეტევა, ანაფილაქსია, ნებისმიერი ეტიოლოგიის შოკი, მძიმე მეტაბოლური დარღვევები, გულყრა, კომა, ტრავმა, და ა.შ.), შეაფასოს მათი სიმძიმე სწორი და დროული ინფორმაცია მიაწოდოს ექიმს და მისი ხელმძღვანელობით ადექვატური და სწრაფი ზომები მიიღოს მათ აღმოსაფხვრელად, პაციენტის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციისთვის.

აგრეთვე ფლობდეს სრულყოფილად ახალშობილთა და ბავშვთა ასაკის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკას და საბაზისო ალგორითმებს, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს გადაუდებელი დახმარების საშუალო და დაბალი მედპესონალის გუნდის ლიდერობა. ფლობდეს მშობიარობის მიღების ტექნიკას, ახალშობილის მდგომარეობის სტანდარტულ შეფასებას დაბადებისას, შეეძლოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა.

სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს ახალშობილთა და ბავშვთა ასაკში, ზემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების (სინდრომების), მდგომარეობების მართვისათვის აუცილებელი ბაზისური ცოდნა შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში;
- განავითაროს ანალიზური, შეფასების და ექსპრეს – სადიაგნოსტიკო ჩვევები და უნარები ამ სისტემების პათოლოგიების დროული ამოცნობისა და მართვისათვის. ეს ასევე ითვალისწინებს პაციენტთან ან მის მშობლებთან კომუნიკაციის ჩვევების გაუმჯობესებას გასინჯვის, მონაცემთა რეგისტრაციის და ინფორმაციის გამოყენების პროცესებში;
- შეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება პაციენტების მკურნალობისათვის, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში. ეფექტური კომუნიკაცია პაციენტთან და მის ნათესავებთან;

1. 2. პროგრამის ამოცანები:

პროფესიული სწავლების პროგრამის დასრულების შემდეგ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანი:

- შეიძენს შესაბამისი ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს თავის კომპეტენციის ფარგლებში დროულად ამოიცნოს ზემოთ ჩამოთვლილ ნოზოლოგიები, სინდრომები კლინიკურ მდგომარეობები ახალშობილთა და ბავშვთა ასაკში (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით).
- განივითარებს სხვადასხვა ასაკის პაციენტის გასინჯვის, სასიცოცხლო ფუნქციების სწრაფი შეფასების, რეანიმაციული ღონისძიებების სწორად ჩატარების და ამისათვის საჭირო ყველა მანიპულაციის უნარ-ჩვევებს.

ბაზისური ცოდნა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა უნდა იცოდეს:

- ახალშობილთა და ბავშვთა ასაკის შემდეგი სინდრომების (სიმპტომების, პათოლოგიების) ამოცნობა: სუნთქვის მწვავე უკმარისობა, აპნოე (მათ შორის ახალშობილთა), დისპნოე, რესპირატორული დისტრესი, ასთმა, ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქცია, დაჭიმული პნევმოთორაქსი, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, გულის ტამპონადა, ასისტოლია, გულის არესტი, სიცოცხლისთვის საშიში არითმიები, შოკი (ნებისმიერი ეტიოლოგიის), გულყრა, ეპილეფსიური სტატუსი, მძიმე მეტაბოლური დარღვევები, კომა, ინტოქსიკაცია, პოლიტრავმა, ქალა-ტვინის ტრავმა, კიდურების მოტეხილობები (მათ შორის ღია). მშობიარობა, სამეანო დახმარება, ახალშობილის მიღება.
- ზემოთ ჩამოთვლილი სინდრომების დიაგნოსტიკის (მათ შორის ექსპრეს-) საფუძვლები.
- პრეჰოსპიტალურ დონეზე აღნიშნული სინდრომების და დაავადებების მკურნალობის პრინციპები და შეეძლოს სამკურნალო პროტოკოლების გამოყენება საექთნო კომპეტენციის ფარგლებში.

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- დეტალური ანამნეზის შეკრება, პაციენტის პირველადი ფიზიკალური გასინჯვა, სათანადო ინფორმაციის მიწოდება ექიმისთვის და პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია;

- სისხლის წნევის არაინვაზიური გაზომვა, ელექტროკარდიოგრამის გადაღება, მომზადება და სხვადასხვა რადიოლოგიური დიაგნოსტიკისთვის.
- არტერიული და ცენტრალური ვენური სისხლის გაზების, მუჟავა-ტუტოვანი წონასწორობის ექსპრეს ანალიზის გაკეთება (i-STAT, easy - STAT), ლაბორატორიული კვლევისთვის (მათ შორის ბაქტერიოლოგიური) სხვადასხვა მასალის სწორი აღება.
- პერიფერიული ვენის კანულაცია, პლევრისა და პერიკარდიუმის ღრუს დრენაჟის მოვლა, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და მოვლა, ნაზო ან ორო-გასტრული ზონდის ჩადგმა და მოვლა, მარტივი ზედაპირული ჭრილობის გაკერვა, სისხლდენის შეჩერება.
- ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის არაინვაზიური მეთოდების (პირი-პირში, პირი-ცხვირში, “ამბუ” –რესპირატორი) და საჰაერო გზების გამავლობის უზრუნველყოფა, პირდაპირი ლარინგოსკოპია, ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია, მართვით სუთქვაზე მყოფი პაციენტის მოვლა.
- გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულება (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით), დეფიბრილატორის, სინქრონული კარდიოვერსიის, გარეგანი პეისმეკერის (რითმის წამყვანი) გამოყენება (უსაფრთხო და სწორი).
- მოტეხილი კიდურების იმობილიზაცია, კისრის ფიქსატორის გამოყენება, სისხლდენის საწინააღმდეგო ლასტების დადება, დამწვრობის საწინააღმდეგო საფენების გამოყენება, პაციენტის ინტერ - და ინტრა – ჰოსპიტალური უსაფრთხო ტრანსპორტირება, სამეანო ტექნიკა, ასეპტიკა-ანტისეპტიკის პრინციპების დაცვა.
- მის განკარგულებაში მყოფი აპარატურის სწორი გამოყენება, მოვლა, ტესტირება, პაციენტის, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა ტექნიკური და ბიო-უსაფრთხოების დაცვა.

კომპენტენციების გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **პრეპოსპიტალურ დონეზე პედიატრიული გადაუღებელი სამედიცინო დახმარების პრობლემების მართვის ჩვევების განვითარებას.** გააცნობიერებს რა ბავშვთა ასაკის კრიტიკულ დაავადებების მიზეზებსა და მკურნალობის შესაძლო გზებს, ექთანს შეძლებს ამ პრობლემების ეფექტიან მართვში ექიმის ასისტირებას;

- **პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური ჩვევების გამოყენებას.** განიხილავს რა წარმოდგენილი სისტემების დაავადებებს სოციალურ და ფსიქიკურ კონტექსტში და იყენებს ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის სპეციფიკურ მეთოდებს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს შეუძლია სწორად შეაფასოს პრობლემა და ჩამოაყალიბოს სათანადო სამოქმედო გეგმა.
- **ყოველსმომცველობის პრინციპის აღიარებას.** შესაძლებლობათა დიაპაზონის გაცნობიერებით, რაც მოიცავს პრევენციას, მკურნალობას, ხანგრძლივ მოვლასა (მ.შ პალიატიური მკურნალობა) და რეაბილიტაციას.
- **ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მართვასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების გაცნობიერებას,** რაც გულისხმობს პრობლემის სერიოზულობისა და სპეციფიკური ლოკალური ფაქტორების მნიშვნელობის სწორად შეფასებას.

მოზრდილთა დახვეწილი კარდიოლოგიური დახმარება

პროგრამის მიზნები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს ამოიცნოს მოზრდილთა გადაუდებელი კარდიოლოგიური მდგომარეობები (ტკივილი გულმკერდის არეში, მწვავე კორონარული სინდრომი - ST სეგმენტის ელევაციით თუ მის გარეშე, გულის არესტი, გულის ტრავმული გაჩერება, ჰიპოთერმიის დროს გულის არესტი, გულის მწვავე უკმარისობა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის მოშლა, კარდიოგენური შოკი, სიმპტომური ბრადიკარდია, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიები, პარკუჭოვანი არითმიები, შეაფასოს მათი სიმძიმე დროულად აცნობოს ექიმს და ადეკვატური და სწრაფი ზომები მიიღოს მათ აღმოსაფხვრელად, პაციენტის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციისთვის.

აგრეთვე სრულყოფილად ფლობდეს გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკას და ბაზისურ ალგორითმებს, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს გადაუდებელი დახმარების საშუალო მედ. პერსონალის გუნდის ლიდერობა. შეეძლოს ეკგ-ს პირველადი ინტერპრეტაცია.

სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს ზემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების (სინდრომების), მდგომარეობების მართვისათვის აუცილებელი ბაზისური ცოდნა შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში;
- განავითაროს ანალიზური, შეფასების და ექსპრეს – სადიაგნოსტიკო ჩვევები და უნარები გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების დროული ამოცნობისა და მართვისათვის. ეს ასევე ითვალისწინებს პაციენტთან ან მის ახლობლებთან კომუნიკაციის ჩვევების გაუმჯობესებას, გასინჯვის, მონაცემთა რეგისტრაციის და ინფორმაციის გამოყენების პროცესებში;
- შეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება პაციენტების მოვლისა მკურნალობისათვის, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში.

პროგრამის ამოცანები:

- შეიძენს შესაბამისი ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს დროულად ამოიცნოს, და უმკურნალოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემებს და სიცოცხლისათვის საშიში არითმიებს, მ.შ. გადაუდებელ შემთხვევებში;
- განივითარებს პაციენტის გასინჯვის, სასიცოცხლო ფუნქციების სწრაფი შეფასების, რეანიმაციული ღონისძიებების სწორად ჩატარების და ამისათვის საჭირო ყველა მანიპულაციის უნარ-ჩვევებს საექთნო კომპეტენციის ფარგლებში.
- შეძლებს მიღებული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე ჩამოაყალიბოს გადაუდებელი კარდიოლოგიური მდგომარეობების მოვლის გეგმა. (მკურნალობის სქემების გათვალისწინებით).

ბაზისური ცოდნა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა უნდა იცოდეს:

- შემდეგი სინდრომების განსაზღვრა: ტკივილი გულმკერდის არეში, მწვავე კორონარული სინდრომი, გულის არესტი, გულის ტრავმული გაჩერება, ჰიპოთერმიის დროს გულის არესტი, გულის მწვავე უკმარისობა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის მოშლა, კარდიოგენური შოკი, სიმპტომური ბრადიკარდია, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიები, პარკუჭოვანი არითმიები.
- ზემოთ ჩამოთვლილი სინდრომების დიაგნოსტიკის (მათ შორის ექსპრეს-) საფუძველები.
- პრეჰოსპიტალურ დონეზე აღნიშნული სინდრომების და დაავადებების მკურნალობის პრინციპები და შეეძლოს ამ პროცესში სამკურნალო ბაზისური პროტოკოლების გამოყენება.

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- ანამნეზის შეკრება, პაციენტის პირველადი ფიზიკალური გასინჯვა, სათანადო ინფორმაციის წარდგენა ექიმისთვის და პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია;
- სისხლის წნევის არაინვაზიური გაზომვა, ელექტროკარდიოგრამის გადაღება,
- არტერიული და ცენტრალური ვენური სისხლის გაზების, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის ექსპრეს ანალიზის გაკეთება (i-STAT, easy - STAT), ლაბორატორიული კვლევისთვის (მათ შორის ბაქტერიოლოგიური) სხვადსხვა მასალის სწორი აღება.
- პერიფერიული ვენის კანულაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და მოვლა, ნაზო ან ორო-გასტრული ზონდის ჩადგმვა და მოვლა, მარტივი ზედაპირული ჭრილობის გაკერვა, სისხლდენის შეჩერება.
- ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის არაინვაზიური მეთოდების (პირი-პირში, პირი-ცხვირში, “ამბუ” –რესპირატორი) და საჰაერო გზების გამავლობის უზრუნველყოფა, პირდაპირი ლარინგოსკოპია, ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია, ოქსიგენოთერაპიის სხვადსხვა მოწყობილობების ადექვატური გამოყენება (ინჰალაცია, ცხვირის კანულები, ნილაბი, სარქვლიანი ნილაბი, მაღალ პროცენტიათი ჟანგბადის მიმწოდებელი ნილაბი და ა.შ.)
- გულის არაპირდაპირი მასაჟი(ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით), დეფიბრილატორის, გამოყენება (უსაფრთხო და სწორი).
- პაციენტის ინტერ - და ინტრა – ჰოსპიტალური უსაფრთხო ტრანსპორტირება, ასეპტიკა-ანტისეპტიკის პრინციპების დაცვა.
- მის განკარგულებაში მყოფი აპარატურის სწორი გამოყენება, მოვლა, ტესტირება, პაციენტის, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა ტექნიკური და ბიო-უსაფრთხოების დაცვა.

გამოკვლევების, მკურნალობის და ინტერვენციების გეგმა:

- აუცილებელი სადიაგნოსტიკო კვლევის ჩამონათვალი (სასწრაფო და მოგვიანებით).

- აუცილებელი თუ სასურველი ინვაზიური ჩარევების ან სხვა სახის ინტერვენციების გეგმა, მათი აუცილებლობა და შესაძლო გართულებები – გვედრითი მოვლენები.
- კონსულტირება პრევენციული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ: სისხლის წნევა, ლიპიდები, თამბაქოს მოწევა, სხვა ისეთი მოდიფიცირებად რისკ ფაქტორები, როგორცაა ალკოჰოლი, ფიზიკური ვარჯიში, სიმსუქნე და დიეტა; კავშირი სხვა დაავადებებთან, მაგ. დიაბეტთან.

კომპეტენციების გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **პრეპოსპიტალურ დონეზე გადაუდებელი (კარდიოლოგიური) სამედიცინო დახმარების პრობლემების მართვის ჩვევების განვითარებას.** გააცნობიერებს რა კრიტიკულ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიზეზებსა და მეურნალობის შესაძლო გზებს, ექთანი შეძლებს ამ პრობლემების ეფექტიან მართვას საექთნო კომპეტენციის ფარგლებში;
 - **პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის აღიარებას:** აცნობიერებს რა, რომ ნებისმიერი სამედიცინო პრობლემა (მშ. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებიც) პაციენტის გარემომცველ სხვა ფაქტორებთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს, ექთანი კონსულტაციის პროცესს იყენებს ამ ფაქტორების გამოვლენისა და პაციენტთან შეთანხმებისთვის. პაციენტი უნდა დარწმუნდეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ექთანთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება და საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობის გაზიარება.
- **პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური ჩვევების გამოყენებას.** განიხილავს რა წარმოდგენილი სისტემების დაავადებებს სოციალურ და ფსიქიკურ კონტექსტში და იყენებს ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის სპეციფიკურ მეთოდებს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს შეუძლია სწორად შეაფასოს პრობლემა და ჩამოაყალიბოს სათანადო სამოქმედო გეგმა.

- **ყოველსმომცველობის პრინციპის აღიარებას.** შესაძლებლობათა დიაპაზონის გაცნობიერებით, რაც მოიცავს პრევენციას, მკურნალობას, ხანგრძლივ მოვლასა (მ.შ პალიატიური მკურნალობა) და რეაბილიტაციას.
- **ჰოლისტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას** და პაციენტის ოჯახსა და ახლობლებზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სოციალური და ფსიქოლოგიური ზეგავლენის მნიშვნელობის გაცნობიერებას.
- **გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების გაცნობიერებას,** რაც გულისხმობს პრობლემის სერიოზულობისა და სპეციფიკური ლოკალური ფაქტორების მნიშვნელობის სწორად შეფასებას

კრიტიკული მდგომარეობები და გადაუდებელი დახმარება მოზრდილებში

პროგრამის მიზნები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს ამოიცნოს მოზრდილ პაციენტებში კრიტიკული მდგომარეობები (გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ფილტვების შეშუპება, ნებისმიერი ეტიოლოგიის შოკი, მძიმე მეტაბოლური დარღვევები, ტრავმა, თავის ტვინის სისხლს მიმოქცევის მოშლა, სამედიცინო გათულებები, ეკლამფსია, პრეეკლამფსია, და ა.შ.), შეაფასოს მათი სიმძიმე, დროულად აცნობოს ექიმს და ადექვატური და სწრაფი ზომები მიიღოს მათ აღმოსაფხვრელად, პაციენტის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის.

აგრეთვე ფლობდეს სრულყოფილად გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკას და ბაზისურ ალგორითმებს.

სწავლების მიზანია მსმენელმა:

- შეიძინოს მოზრდილ პაციენტებში ზემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების (სინდრომების), მდგომარეობების მართვისათვის აუცილებელი ბაზისური ცოდნა შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში;
- განავითაროს ანალიზური, შეფასების და ექსპრეს – სადიაგნოსტიკო ჩვენებები და უნარები ამ სისტემების პათოლოგიების დროული ამოცნობისა და მართვისათვის. ეს ასევე ითვალისწინებს პაციენტთან ან მის ახლობლებთან კომუნიკაციის ჩვენებების გაუმჯობესებას გასინჯვის, მონაცემთა რეგისტრაციის და ინფორმაციის გამოყენების პროცესებში;
- შეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვენებების გამოყენება პაციენტების მოვლისთვის, მკურნალობისათვის, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში. ეფექტური კომუნიკაცია პაციენტთან და მის ახლობლებთან;

პროგრამის ამოცანები:

პროფესიული სწავლების პროგრამის დასრულების შემდეგ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანი:

- შეიძენს შესაბამისი ცოდნას, რაც მას საშუალებას მისცემს დროულად ამოიცნოს, და უმკურნალოს ზემოთ ჩამოთვლილ ნოზოლოგიებს, სინდრომებს კლინიკურ მდგომარეობებს მოზრდილ პაციენტებში.
- განივითარებს სხვადასხვა ასაკის პაციენტის გასინჯვის, სასიცოცხლო ფუნქციების სწრაფი შეფასების, რეანიმაციული ღონისძიებების სწორად ჩატარების და ამისათვის საჭირო ყველა მანიპულაციის უნარ-ჩვევებს.
- შეძლებს მიღებული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე კვალიფიციური ასისტირება გაუწიოს ექიმს მოზრდილ პაციენტების სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების მართვაში.

ბაზისური ცოდნა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანმა უნდა იცოდეს:

- მოზრდილ პაციენტებში შემდეგი სინდრომების (სიმპტომების, პათოლოგიების) განსაზღვრა: სუნთქვის მწვავე უკმარისობა, აპნოე, დისპნოე, რესპირატორული დისტრესი, ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქცია, დაჭიმული პნევმოთორაქსი, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, გულის ტამპონადა, ასისტოლია, სიცოცხლისთვის საშიში არითმიები, შოკი, მძიმე მეტაბოლური დარღვევები, თავის ტვინის სისხლს მიმოქცევის მოშლა, კრუნჩხვა, ორსული ქალების ეკლამფსია, ტკივილის კონტროლი, ქალა-ტვინის ტრავმა, ამასთანავე ინტერპოსპიტალური და ინტრაპოსპიტალური ტრანსპორტირება.
- ზემოთ ჩამოთვლილი სინდრომების დიაგნოსტიკის (მათ შორის ექსპრეს-) და მოვლის საფუძველები.

ბაზისური უნარ - ჩვევები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს:

- დეტალური ანამნეზის შეკრება, სათანადო ინფორმაციის წარდგენა ექიმისთვის და პაციენტის სამედიცინო ბარათში რეგისტრაცია;

- სისხლის წნევის არაინვაზიური გაზომვა, ელექტროკარდიოგრამის გადაღება, გულმკერდის და მუცლის ღრუს ექოსკოპიისთვის მომზადება, ასევე პაციენტის მომზადება და ტრანსპორტირება რენტგენოგრამის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტური რეზონანსის და სხვა რადიოლოგიური დიაგნოსტიკური საშუალებებისთვის.
- ლაბორატორიული კვლევისთვის (მათ შორის ბაქტერიოლოგიური) სხვადასხვა მასალის სწორი აღება.
- პერიფერიული ვენის კანულაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ნაზო ან ორო-გასტრული ზონდის ჩადგმა, მარტივი ზედაპირული ჭრილობის გაკერვა, სისხლდენის შეჩერება.
- ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის არაინვაზიური მეთოდების (პირი-პირში, პირი-ცხვირში, “ამბუ” –რესპირატორი) და საჰაერო გზების გამავლობის უზრუნველყოფა, პირდაპირი ლარინგოსკოპია, ტრაქეის სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია, ოქსიგენოთერაპიის სხვადასხვა მოწყობილობების ადექვატური გამოყენება (ინჰალაცია, ცხვირის კანულები, ნილაბი, სარქველიანი ნილაბი, მაღალ პროცენტისანი ჟანგბადის მიმწოდებელი ნილაბი და ა.შ.)
- გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულება, დეფიბრილატორის, სინქრონული კარდიოვერსიის, გარეგანი პეისმეკერის (რითმის წამყვანი) გამოყენება (უსაფრთხო და სწორი).
- მის განკარგულებაში მყოფი აპარატურის სწორი გამოყენება, მოვლა, ტესტირება, პაციენტის, საკუთარი თავის და გარშემო მყოფთა ტექნიკური და ბიო-უსაფრთხოების დაცვა.

გამოკვლევების, მკურნალობის და ინტერვენციების გეგმა:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს უნდა შეეძლოს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ექიმთან ერთად, შეიმუშავოს და პაციენტს ან მის ახლობლებს გააცნოს:

- აუცილებელი სადიაგნოსტიკო კვლევის ჩამონათვალი (სასწრაფო და მოგვიანებით).
- აუცილებელი თუ სასურველი ინვაზიური ჩარევების ან სხვა სახის ინტერვენციების გეგმა, მათი აუცილებლობა და შესაძლო გართულებები – გვედრითი მოვლენები.

კომპეტენციების გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამის მოცემული მოდული ხელს შეუწყობს:

- **პრეჰოსპიტალურ დონეზე მოზრდილ პაციენტთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრობლემების მართვის ჩვევების განვითარებას.** გააცნობიერებს რა კრიტიკულ დაავადებების მიზეზებსა და მკურნალობის შესაძლო გზებს, ექთანი შეძლებს პაციენტის ეფექტურ დახმარებას;

- **პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური ჩვევების გამოყენებას.** განიხილავს რა წარმოდგენილი სისტემების დაავადებებს სოციალურ და ფსიქიკურ კონტექსტში და იყენებს ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის სპეციფიკურ მეთოდებს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექთანს შეუძლია სწორად შეაფასოს პრობლემა და ჩამოაყალიბოს სათანადო სამოქმედო გეგმა საექთნო კომპეტენციის ფარგლებში.

- **ყოველსმომცველობის პრინციპის აღიარებას.** შესაძლებლობათა დიაპაზონის გაცნობიერებით, რაც მოიცავს პრევენციას, მკურნალობას, ხანგრძლივ მოვლასა (მ.შ პალიატიური მკურნალობა) და რეაბილიტაციას.

- **ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მართვასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების გაცნობიერებას,** რაც გულისხმობს პრობლემის სერიოზულობისა და სპეციფიკური ლოკალური ფაქტორების მნიშვნელობის სწორად შეფასებას.

სწავლების პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობის და მასალების ჩამონათვალი

ორგტექნიკა

- კომპიუტერი (სასურველია ლეპტოპი)
- LCD პროექტორი
- ეკრანი

სასწავლო აღჭურვილობა - მანეკენები

- ხორხი
- დიდი მანეკენი
- გფრ მანეკენი
- დეკომპრესიის მანეკენი
- ახალშობილის მანეკენი
- 1 წლამდე ასაკის ბავშვის ინტუბაციის მანეკენი
- 1-დან 8 წლამდე ბავშვის მანეკენი
- შარდის ბუშტის კათეტერიზაციის მანეკენი
- პერიფერიული ვენის მანეკენი
- ცენტრალური ვენის კათეტერიზაციის მანეკენი
- ინტუბაციის მანეკენი
- მშობიარობის მანეკენი
- სრული კარდიოლოგიური მანეკენი
- კრიკოთირეოტომიის მანეკენი
- ძვალშიდა ინექციის მანეკენი

სამედიცინო აღჭურვილობა

- ფონენდოსკოპი
- სფიგმომანომეტრი
- სატრაქციო არტაშანი
- ვაკუუმ არტაშანი
- დიდი საიმობილიზაციო დაფა თავის საფიქსაციო ბალიშებით
- პატარა საიმობილიზაციო დაფა
- ქეინდრიკის ფარი
- ჟანგბადის ბალონი 10ლ რედუქტორით
- ელექტრო მქაჩი
- მექანიკური მქაჩი
- ლარინგოსკოპები კომპლექტი
- პულსოქსიმეტრი
- ავტომატური დეფიბრილატორი
- კარდიოგრაფი დეფიბრილატორით
- აპარატი ფილტვის ხელოვნური ვენტილაციისათვის

- ძვალშიდა ინექტორები
- ნიჩბისებური საკაცე
- ვაკუუმ ლეიბი
- კალათა საკაცე
- ლარინგული ნიღაბი
- საინტუბაციო მილები
- ოროფარინგული მილები
- ნაზოფარინგული მილები
- პერიფერიული და ცენტრალური ვენის კათეტერები
- კომბიტები
- ამბუს პარკი სხვადასხვა ზომის
- კრიკოტირეოპუნქციის ნაკრები
- მაგილის დამჭერი

გეგმა გრაფიკი

	მოდულის დასახელება	თემის დასახელება	თეორიული მეცადინეობა (ლექციები, პრაქტიკული სავარჯიშოები მანეკენებზე)	პრაქტიკული მეცადინეობა (კლინიკების შესაბამის განყოფილებებში მეცადინეობა)
1	გადაუდებელი დახმარების განყოფილების მოწყობა, მიზნები და ამოცანები	გადაუდებელი დახმარების განყოფილების მოწყობა, მიზნები და ამოცანები	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2 სთ
2	გადაუდებელი დახმარების ექთნის სამუშაოს აღწერილობა	გადაუდებელი დახმარების ექთნის სამუშაოს აღწერილობა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2 სთ
3	საექთნო ეთიკა	საექთნო ეთიკა	1	
4	პირადი უსაფრთხოება	პირადი უსაფრთხოება	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2 სთ
5	ინფექციის კონტროლი (ასეპტიკა და ანტისეპტიკა)	ინფექციის კონტროლი (ასეპტიკა და ანტისეპტიკა)	1	კრიტიკული მედიცინა 2 სთ
6	სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი გაიდლაინი	ტრიაჟი	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2,5 სთ

7		ABC (სასუნთქი გზები, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა)	2	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
		სასუნთქი გზების გამტარებლობის უზრუნველყოფის მეთოდები და გულ-ფილტვის რეანიმაცია;	2	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
		ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქცია, კრიკოთირეოპუნქცია	2	კრიტიკული მედიცინა 2,5 სთ
		პერიფერიული ვენების კათეტერიზაცია	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება
		დაავადების ანამნეზი და გარეგანი დათვალიერება	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
8	ტრავმის დროს სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი ალგორითმი	ტრავმის განვითარების მექანიზმი	1	
		ტრავმის პირველადი მკურნალობა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
		საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტრავმა და არტაშანით ფიქსაციის მეთოდები	2	კატასტროფის მედიცინა 5 სთ

	გულმკერდის ტრავმა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 5 სთ
	ქალა-ტვინის და კისრის ტრავმა	2	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ჭრილობის მკურნალობა და სისხლდენის შეჩერება	1,5	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ტკივილის მენეჯმენტი	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	დამწვრობის სიმძიმის ხარისხის შეფასება და მკურნალობა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	3	კრიტიკული მედიცინა 5 სთ
	დაზარალებულთა მრავლობითი ტრავმა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 5 სთ
	მუცლის ღრუსა და შარდ-სასქესო სისტემის ტრავმა, მწვავე მუცელი	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	გადაუდებელი მდგომარეობები ფსიქიატრიაში;	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება

	სამედიცინო ჩარევა კრიზისული მდგომარეობებისას	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ფარმაკოლოგია, ნარკოზი და ინტოქსიკაცია	1	კატასტროფის მედიცინა 2,5 საათი
	ინფექციური დაავადებები და მათზე კონტროლი	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ანაფილაქსია	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ნახვევის დადების ტექნიკა	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
	ოროგასტრალური ზონდირება	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 5 სთ
	შარდის ბუშტის კათეტერიზაცია	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 5 სთ
	ნაზოგასტრალური ზონდირება	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა

		მწვავე მუცელი	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 2,5 სთ
		უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული	1,5	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2,5 სთ
		სხვადასხვა გენეზის შოკის მართვა	1	კრიტიკული მედიცინა
		მდგომარეობის სტაბილიზაცია ტრანსპორტირებისათვის	1	კატასტროფის მედიცინა
		გარემო პირობებით გამოწვეული უბედური შემთხვევები	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2 სთ
		სტრესის საწინააღმდეგო ღონისძიებები	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2 სთ
		კავშირისა და სადისპეტჩერო კონტროლის საშუალებები	1	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, კატასტროფის მედიცინა 2 სთ
9	სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი ალგორითმი პედიატრიაში	ბავშვთა ასაკის გადაუდებელი მდგომარეობები	1,5	პედიატრიული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 5 სთ

		ტრავმა ბავშვთა ასაკში	1	პედიატრიული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება 5 სთ
		მშობიარობა	1	პერინატალური ცენტრი 2,5 სთ
		ახალშობილთა რეანიმაცია	1,5	პერინატალური ცენტრი 5 სთ
		გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	1	პერინატალური ცენტრი 2 სთ
10	დახვეწილი კარდიოლოგიური დახმარება	ტკივილი გულმკერდის არეში	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2,5 სთ
		ბრადიკარდია	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2 სთ
		ავტომატური დეფიბრილაცია	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2,5 სთ
		გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის მწვავე მოშლა და პირველადი ეკგ-ს ინტერპრეტაცია	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2,5 სთ
		გულის ტრავმული გაჩერება	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2,5 სთ
		გულის გაჩერება ჰიპოთერმიის დროს	1	კარდიოლოგიური ცენტრი 2,5 სთ
		კრუნჩხვა	1	კრიტიკული მედიცინა 2,5 სთ
		რესპირატორული დისტრესი – ფილტვის შეშუპება	1	კრიტიკული მედიცინა 2,5 სთ

	თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა	1	კრიტიკული მედიცინა 2,5 სთ
	ტკივილის კონტროლი	1	კრიტიკული მედიცინა 2,5 სთ
	სამეანო გადაუდებელი დახმარება ეკლამფსია, პრეეკლამფსია	1	კატასტროფის მედიცინა, პერინატალური ცენტრი 2,5 სთ
	გულისრევა და ღებინება	1	კატასტროფის მედიცინა, პერინატალური ცენტრი 2,5 სთ
	ინტერჰოსპიტალური და ინტრაჰოსპიტალური ტრანსპორტირება	1	კატასტროფის მედიცინა, პერინატალური ცენტრი 2,5 სთ
	მწვავე ეგზოგენური ინტოქსიკაციები	2	კატასტროფის მედიცინა 2 სთ
	ინფუზური თერაპია	1	კატასტროფის მედიცინა, პერინატალური ცენტრი 2,5 სთ
	კატასტროფის იმიტაცია	2	
	სულ	70	170

Teoriuli mecadineoba 70 saaTi
praqtikuli mecadineoba 170 saaTi